



ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა

კომისიის სხდომის ოქმი №5

29 დეკემბერი 2021 წელი

14:00 საათი

ა/წ 29 დეკემბერს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები:

1. ზურაბ ჩიკვილაძე (კომისიის თავმჯდომარე);
2. ირაკლი ხელაძე;
3. ლევან აბაშიძე;
4. ანა კაკაბაძე;
5. ნათია მოდებაძე;
6. სოფიო ჯაფარიძე;
7. ლილე ლიპარტელიანი;
8. მამუკა გუგეშვილი;

კომისიის სხდომას ასევე ესწრებოდა საკრებულოს წევრი ვახტანგ სურგულაძე.

მოწვეული პირები:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგებლის მოადგილე მიხეილ გოგოლიძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომას ესწრებოდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ვახტანგ სურგულაძე.

სხდომის დღის წესრიგი:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის“ ქვეპროგრამის განხორციელების

- წესის დამტკიცების „შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილების პროექტი;
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის
დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების „შესახებ“ ქალაქ
თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
 - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური
დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების „შესახებ“ ქალაქ
თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

სხდომას თავმჯდომარეობდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე ზურაბ ჩიკვილაძე. სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და
დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა
კომისიის სხდომის დღის წესრიგი. კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის
წესრიგი. კომისიის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა მომხსნებელს, ქ.თბილისის
მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგებლის მოადგილეს მიხეილ გოგოლიძეს, დღის
წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით.

მიხეილ გოგოლიძემ კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების „შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, კერძოდ: წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს გამგეობის უფლებამოსილების ფარგლებში გასაცემი ბინის ქირის საკომპენსაციო თანხის ოდენობის გაზრდას 500 ლარამდე. კერძოდ, გამგეობა უფლებამოსილი ხდება განცხადების დაკავილების შემთხვევაში ქირის საკომპენსაციო თანხა გასცეს 300 ლარის ნაცვლად, არაუმეტეს 500 ლარის ფარგლებში.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა კომისიის წევრმა ლილე ლიპარტელიანმა, რომ ზემოთაღნიშნული ქვეპროგრამა და მისი სათაური საჭიროებს დაკორექტირებას, რომელიც განსაზღვრავს ბენეფიციართა წრეს და დააკონკრეტებს ქვეპროგრამით სარგებლობის კრიტერიუმებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე. აღნიშნულ საკითხს კომისიის წევრების უმრავლესობაშ დაუჭირა მხარი.

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 1

სხდომის თავმჯდომარემ ზურაბ ჩიკვილაძემ წარმოადგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების „შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და სიტყვა გადასცა მომხსნებელს, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსს გელა ჩივიაშვილს.

გელა ჩივიაშვილის ინფორმაციით დადგენილების პროექტის თანახმად, მტკიცდება ქვემოთ ჩამოთვლილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესები:

- „დაავადებათა სკრინინგის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესი;
 - „გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესი;
 - „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესი;
 - „ტრანსპლანტაციის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესი;
 - „ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესი;
 - „ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესი;
 - „გაფანტული სკოლების სამკურნალო მედიკამენტების და კვლევების დაფინანსების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესი.

მოქმედი რედაქციისაგან განსხვავებით, დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მისაღებად პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზებულად მოწვევის გზით განახორციელებს მოსარგებლეთა ქვეპროგრამაში ჩართვას სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემული სიის შესაბამისად. აღნიშნული სია მოიცავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრიტეტული 25-70 წლის ჩათვლით ქალების და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 50-დან 70 წლის ჩათვლით მამაკაცების პერსონალური მონაცემების (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი, ქალაქ თბილისში რეგისტრაციის რაიონი მისამართით და ტელეფონის ნომერი) ონლაინ რეჟიმში მიწოდებას. გარდა ამისა 2022-2023 წლებში ატომური ენერგიის სააგენტო ეროვნული სკრინინგ ცენტრისთვის შეიძენს ე.წ. სტერეოტაქსიკური ბიოფსიის აპარატს, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ქვეპროგრამის ფარგლებში სერვისების მიწოდების ხარისხს.

მომხსენებლის გელა ჩივიაშვილის თქმით „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის“ ქვეპროგრამასთან დაკავშირებით იყო მოთხოვნა მოსარგებლეთა მხრიდან, რომ პროგრამის ბენეფიციართა ზედა ასაკობრივი ზღვარი ნაცვლად 17 წლისა იყოს 21 წლის ასაკის პირებისთვის. აღნიშნული ცვლილება შესაძლოა მომავალში განხორციელდეს თუ იქნება მოთხოვნა პროფესიული ასოციაციაცების მხრიდან და დაგროვდება საკმარისი გამოცდილება ან იწება მოწოდებული მეთოლოგია აღნიშნული ცვლილების განსაზორციელებლად.

კომისიის წევრმა სოფიო ჯაფარიძემ მაგალითისთვის მოიყვანა პოლონეთი, სადაც წარმატებით ხორციელდებდა აუტისტური სპექტრის დარღვევის მქონე პირთა აბილიტაცია-რეაბილიტაციის პროგრამები, თუმცა დასძინა ისიც, რომ პოლონეთში აუტისტური სპექტრის დარღვევის მქონე პირები სწავლობენ მხოლოდ სპეციალიზირებულ დაწესებულებებში რაც გარკვეულწილად არის პირები სწავლობენ მხოლოდ სპეციალიზირებულ დაწესებულებებში რაც გარკვეულწილად არის მათი დისკრიმინაცია, საქართველოში კი აუტისტური სპექტრის დარღვევის მქონე მოზარდებს უფლება აქვთ ისწავლონ საჯარო სკოლებში, რაც მეტად უწყობს ხელს მათ საზოგადოებაში ინტეგრაციას.

გელა ჩივიაშვილის ინფორმაციით გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების ქვეპროგრამას დაემატა კვლევის კომპონენტი და ფორმულირდა როგორც, გაფანტული

სკლეროზის სამცურნალო მედიკამენტების და კვლევების დაფინანსების ქვეპროგრამა. 2021 წელს მოქმედი წესისაგან განსხვავებით წარმოდგენილი პროექტით ქვეპროგრამის მომსახურების მოცულობას მედიკამენტების გარდა დაემატა კვლევები, რომელიც მოიცავს თავის ტვინის ან/და ხერხემლის და ზურგის ტვინის მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფიის (ქიმიური აგენტის დახმარებით) დაფინანსების უზრუნველყოფას. ქვეპროგრამით გათვალისწინებულ მოსარგებლებს კვლევები უფინანსდებათ სრულად, მიუხედავად მათი სოციალური სტატუსისა, წესით გათვალისწინებული ტარიფის ფარგლებში, წელიწადში ერთხელ.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული კვლევების მოსარგებლები არიან პირები, რომლებიც უკვე სარგებლობენ ამავე ქვეპროგრამის მედიკამენტების დაფინანსებით და შესაბამისად აკმაყოფილებდნენ მედიკამენტის მიღებისათვის გათვალისწინებულ კრიტერიუმებსაც.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსმა გელა ჩივიაშვილმა აქვე, მიმოიხილა ჯანმრთელობის დაცვის სხვა ქვეპროგრამებიც.

გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლის ქვეპროგრამა - ქვეპროგრამის მოსარგებელები არიან საქართველოს მოქალაქეები, ასევე საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირები. ქვეპროგრამის განმახორციელებელია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ „თბილისის გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობისა და კონტროლის მუნიციპალური ცენტრი“ და ფინანსდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლი (კოდი: 06 01 03)“ ასიგნებების ფარგლებში.

აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამა - აღნიშნული ქვეპროგრამის მოსარგებლები არიან დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) მიხედვით განვითარების ზოგადი აშლილობების ჯგუფის (F84.0; F84.9) დიაგნოზის მქონე 2-დან 17 წლის ასაკის ჩათვლით საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენენ ქვეპროგრამის ბენეფიციარებს, მიუხედავად ზემოაღნიშნული დიაგნოზისა. ასევე ისპირები, რომლებიც ქვეპროგრამაში ჩართვის მიზნით შესაბამისი დაწესებულებისათვის განცხადებით მიმართვამდე პერიოდში იყვნენ რეგისტრირებული საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტში, მაგრამ განცხადებით მიმართვამდე ბოლო 3 წლის (2 წლის ასაკის ბავშვის შემთხვევაში-ბოლო 2 წლის) განმავლობაში უწყვეტად და ამავდროულად, ქვეპროგრამაში ჩართვის მომენტისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში არიან რეგისტრირებულნი, ხოლო თუ ისინი განცხადებით მიმართვამდე პერიოდში არცერთხელ არ ყოფილან რეგისტრირებული საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტში მთავარია შესაბამისი დაწესებულებისათვის განცხადებით მიმართვის დროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში იყვნენ რეგისტრირებული, ხოლო იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირები, რომლებსაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ - ქალაქი თბილისი და აკმაყოფილებენ ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს.

ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამა - ქვეპროგრამა მოიცავს ბელის ტვინის მაღალდოზირებული ქიმიოთერაპიას, ძვლისტვინის (ლეროვანი უჯრედების) ტრანსპლანტაციის წინა კვლევებს, ტრანსპლანტაციას (აუტოლოგიური ტრანსპლანტაცია, ალოგენური ტრანსპლანტაცია, ჰაპლიოიდურ ტური ტრანსპლანტაცია), მათ შორის, პოსტ ტრანსპლანტაციური პერიოდის მართვას და ღვიძის ტრანსპლანტაციის კომპონენტებს.

წარმოდგენილი წესით დგინდება, რომ ქვეპროგრამით განსაზღვრული მომსახურების მიმწოდებლად რეგისტრაციის საკუთარი სურვილით გაუქმდების შემთხვევაში, დაწესებულება ვალდებულია აცნობოს განმახორციელებელს აღნიშნულის თაობაზე 2 (ორი) თვეით ადრე. საკუთარი სურვილით გაუქმდებისა ვალდებულია დაასრულოს მომსახურება ყველა შენეფიციართან, რომელთანაც დაწყებული ქონდა მომსახურების მიწოდება ამ ქვეპროგრამის ფარგლებში.

კომისიის წევრი წათია მოდებაძე დაინტერესდა, რამდენმა პირმა ისარგებლა „ტრანსპლანტაციის“ ქვეპროგრამით და არის თუ არა ამჟამად მომლოდინეთა რიგი. გელა ჩივიაშვილის განმარტებით ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამით მიმდინარე წელს ისარგებლა 164-მა ბენეფიციარმა და ამჟამად არ არის მომლოდინეთა რიგი.

საკრებულოს წევრი ვახტანგ სურგულაძე დაინტერესდა, რომელი სამედიცინო დაწესებულებები არიან ჩართული ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის მიმართულებით. გელა ჩივიაშვილის ინფორმაციით ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციას ქვეპროგრამის ფარგლებში ახორციელებს ვეჯისის კლინიკა და ინგოროვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკა.

ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამა - ქვეპროგრამის
მოსარგებლები არიან HER-2 დადებითი ძუძუს კიბოს ადგილობრივად გავრცელებული (I-III
სტადია) ფორმის ან HER-2 დადებითი ძუძუს მეტასტაზური კიბოს დიაგნოზის მქონე
საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც არიან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის
განცხადებით მიმართვამდე ბოლო 2 წლის განმავლობაში უწყვეტად და ამავდროულად,
ქვეპროგრამაში ჩართვის მომენტისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში
რეგისტრირებულნი.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს ამ წესით დადგენილი ტარიფების ფარგლებში შემდეგი მედიკამენტების დაფინანსების უზრუნველყოფას: а) HER-2 დადებითი ადგილობრივად გავრცელებული (I-III სტადია) ძუძუს კიბოს დიაგნოზის ან რადიკალური ოპერაციის შემდგომ განვითარებული რეციდივის შემთხვევაში – ტრასტუზუმაბი; რადიკალური კვანძის >2სმ-ზე ან/და ჰორმონურყოფითი (ER/PR-negative) ან/და დადებითი სიმსივნური კვანძის >2სმ-ზე ან/და ჰორმონურყოფითი (ER/PR-negative) ან/და დადებითი ნოდალური სტატუსის (N+) შემთხვევაში პერტუზუმაბი+ტრასტუზუმაბი ან ფესგო; б) HER-2 დადებითი მეტასტაზური ძუძუს კიბოს დიაგნოზის შემთხვევაში – ტრასტუზუმაბი ან პერტუზუმაბი+ტრასტუზუმაბი ან ფესგო; გ) HER-2 დადებითი მეტასტაზური ძუძუს კიბოს დიაგნოზის შემთხვევაში ლაპატინიბი.

აღნიშნული წესის თანახმად, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან გაზაში რეგისტრირებულ პირებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს, მედიკამენტი უფინანსდებათ სრულად, თანაგადახდის გარეშე, ხოლო ყველა სხვა მოსარგებლებს, ამ წესით დადგენილი ტარიფების გათვალისწინებით მედიკამენტის ღირებულების ლიმიტის 80%-ის მოცულობით (თანაგადახდა შეადგენს 20%-ს), გარდა მედიკამენტი „ტრასტუზუმაბისა“, რომლის საჭიროების შემთხვევაში მედიკამენტი მოსარგებლეს უფინანსდება ამ წესით დადგენილი ტარიფების გათვალისწინებით მედიკამენტის ღირებულების ლიმიტის 50%ის მოცულობით (თანაგადახდა შეადგენს 50%-ს).

ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურების ქვეპროგრამა - ქვეპროგრამა მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: მულტისისტემური ინტერვენცია ბავშვებსა და მოზარდებში, რომელიც ითვალისწინებს ფსიქიკური და ქცევითი აშლილობის მქონე პირების უწყვეტ მეთვალყურეობასა

სხდომის თავმჯდომარებ სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი დააყენა კონჭისყრაზე. აღნიშნულ საკითხს კომისიის წევრების უმრავლესობამ დაუჭირა მხარი.

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკვავა: 0

სხდომის თავმჯდომარებ ზურაბ ჩიკვილაძემ დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით სიტყვა გადასცა ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსს გელა ჩიკვაშვილს.

გელა ჩივიაშვილმა წარმოადგინა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამატება, რომელიც გულისხმობს ახალ, „სოციალურად დაუცველი საპენსიო ასაკის პირებისათვის მედიკამენტების დაფინანსების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესს და პირობებს. ქვეპროგრამით გათვალისწინებული დაფინანსების მოსარგებლები პირები არიან სოციალურად დაუცველი საპენსიო ასაკის საქართველოს მოქალაქეები, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ არ აღმატება 200 000-ს. ამ ეტაპზე 37 000 საპენსიო ასაკის პირია რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში თბილისის მასშტაბით. დაფინანსების მისაღებად, პირმა ან მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა უნდა მიმართოს სამედიცინო დაწესებულებას, რომელიც ელექტრონულ წარმომადგენელმა უნდა მიმართოს სამედიცინო დაწესებულებას, რომელიც ელექტრონულ წლიური ლიმიტი შეადგენს 500 ლარს, რომლის გამოყენება შესაძლებელია მრავალჯერადად, ლიმიტის ამოწურვამდე, კალენდარული წლის განმავლობაში. ქვეპროგრამაში ჩართულია ყველა მსხვილი სააფთიაქო ქსელი (ავერსი, პსპ, ჯი სი, ფარმადეპო).

აღნიშნულ ცელილებასთან დაკავშირებით კითხვა დასვა საკრებულოს წევრმა ვახტანგ სურგულაძემ, კონკრეტულად რომელი სპეციალიზაციის ექიმს შეეძლება გამოუწეროს

დანიშნულება ელექტრონულად ქვეპროგრამით მოსარგებლეს. გელა ჩივიაშვილის განმარტებით, ნებისმიერ ექიმს ამბულატორიული მომსახურების ფარგლებში შეეძლება ატვირთოს ქვეპროგრამით მოსარგებლის დანიშნულება ელექტრონულ მოდულში. საწყის ეტაპზე კონტროლს არ დაეჭვემდებარება გამოწერილი მედიკამენტები, ხოლო გარკვეული დროის შემდეგ მონიტორინგის მონაცემების შეგროვების საფუძველზე ცნობილი იქნება ადგილი ჰქონდა თუ არა გადაცდომას ექიმის მხრიდან.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხი დააყენა კენჭისყრაზე. აღნიშნულ საკითხს კომისიის წევრების უმრავლესობამ დაუჭირა მხარი.

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

კომისიის წევრმა ლილე ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ „სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები რაიონებში“ ქვეპროგრამის განხორციელების წესში არ ჩანს მოსარგებლე პირების მიერ რა შემთხვევაში ხდება მიზნობრივი ფინანსური დახმარება. ასევე, გამოთქვა წუხილი იმის შესახებ, რომ ქვეპროგრამის განხორციელების წესი მტკიცდება ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულებით და არა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით. კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ჩიკვილაძემ კომისიის სხვა წევრებთან ერთად მიიღეს გადაწყვეტილება ამ საკითხთან დაკავშირებით ჩაინიშნოს მოსმენა ყველა დაინტერესებულ პირთან ერთად

კომისიამ დაადგინა

წარმოდგენილი პროექტები განხილული იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის უმრავლესობის დადებითი რეკომენდაციით.

კომისიის სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე



ზურაბ ჩიკვილაძე